ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2018 წლის 22 ივნისის

სხდომის ოქმი № 1

ქ. ახალციხე **2018 წელი, 22 ივნისი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზაზა მელიქიძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
გელა ნოზაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯომარე
იოსებ კაპანაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
რუბენ კარაპეტიანი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ევა იველაშვილი	ადმინისტრაციული და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი
გელა ლომიძე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი
ქეთევან ინასარიძე	სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი
ზაზა თამარაშვილი	განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი
გიორგი ინასარიძე	შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელი
ემზარი მღებრიშვილი	ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო ლომიძე
2. ელენა ბეგიაშვილი
3. ზაზა ივანიძე
4. ასთხიკ სარქისიანი

5. დოდო ბერიძე
6. მაკა ბერიძე
7. ვასილ კვინცხაძე
8. ომარ ჯაყელი
9. შალვა ტაბატაძე
10. გივი ბუცხრიკიძე
11. მერაბ ბერიძე
12. ცირა მესხიშვილი
13. ნუგზარ თათეშვილი
14. ვალიკო ბალიაშვილი
15. სუსანა აკოფოვა
16. ოგანეს უსტიან

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ნინო რუხაძე
2. თენგიზ ხითარიშვილი
3. მალხაზ მანველიშვილი
4. თამარ კაპანაძე
5. პოღოს მაგაკიანი
6. ციური ლაფაჩი
7. ბელა ავალიშვილი
8. გია კაპანაძე
9. გიორგი ანდღულაძე
10. ჭიჭიკო გელაშვილი
11. რუზანა მელქონიან

დღის წესრიგი:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ;

2. ახალციხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
3. ახალციხის მუნიციპალიტეტში კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ;

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ზაზა მელიქიძე „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებს მიესალმა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო. ზაზა მელიქიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები და თითოეული მოქალაქის ჩართულობა მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია: „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნის მიზანი სწორედ საზოგადოებრი აზრის მაქსიმალური გათვალისწინება, შესაბამისი რეკომენდაციების თუ წინადადებების მომზადებაა. თქვენ მიერ შემუშავებულ წინადადებებს კი ადგილობრივი ხელისუფლება გაითვალისწინებს“.

დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 25 მილიონამდეა. ბიუჯეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ განხორციელდეს ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი და მოგვარდეს მოსახლეობის მოთხოვნები.

მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი და სარწყავი წყლები მოწესრიგებას შეეხებოდა შეიძლება ითქვა, რომ უკვე მოგვარებულია. 2014 წლიდან დღემდე განვახორციელეთ 86 გზის რეაბილტაციის პროექტი რის შედეგადაც დაიგო 100- კმ-ზე მეტი ასფალტო-ბეტონის საფარი. 2020 წლისათვის მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი არცერთი გრუნტის გზა არ იქნება.განვახორციელეთ სასმელი წყლის 50-ზე მეტი პროექტი, რის შედეგადაც 32 სოფელს მიეწოდება მთის წყაროს წყალი. მუნიციპალიტეტის სოფლებში გაიხსნა 14 ახალი საბავშვო ბაღი. ფუნქციონირება დაიწყო 12 ახალგაზრდულმა ცენტრმა, 10 ბიბლიოთეკამ. სადაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ

არაფორმალურ განათლების გზით შეიძინონ უნარ-ჩვევები, რაც მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. აგრეთვე, დაგეგმილია წყორძის ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაც. აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე მუნიციპალიტეტში მხოლოდ ორი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა ვალეში და ქალაქ ახალციხეში. რაც შეეხება ახალგაზრდულ ცენტრებს მათში აქტიურად ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ახალგაზრდებისათვის ფუნქციონირებს სხვადასხვა უფასო წრეები.

ზაზა მელიქიზემ აღნიშნა, რომ ქალაქ ახალციხეში სარეაბილიტაციოა საბავშვო ბაღების ნაწილი, სამხატვრო და სამუსიკო სკოლები. კულტურის სახლის შენობა კი საერთოდ არ არსებობს. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული გამოწვევები დავძლიოთ. მერმა საბჭოს წევრებს სთხოვა დახმარება, თუ ექნებათ იდეები სად შეიძლება მოეწყოს კულტურის სახლი, ახალი საბავშვო ბაღები, სკვერები, პარკები და სხვა ინფორმაცია წარმოადგინონ შემდგომ სხდომებზე.

რაც შეეხება მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებულია 10 პროექტი:

1. ქ. ახალციხეში, „საბარგო სადგურის“ დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

2. ქ. ახალციხეში, N2 საჯარო სკოლასთან სანიაღვრე კოლექტორის და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია;

3. სოფ. აწყურის სასმელი წყლის სათავე ნაგებობების და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია;

4. სოფ. ფერსას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

5. სოფ. ტატანისის, სვირის და ბოგას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

6. ახალციხე - ჭვინთა- ელიაწმინდის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

7. სოფ. ზიკილიას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

8. სოფ. მინაძის შიდა გზის რეაბილიტაცია;

9. სოფ. კლდის „ზეუბნის“ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

10. სოფ. საძელის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ამ ეტაპზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ხორციელდება:

1. ქ. ვალეში კულტურის სახლის და საბავშვო ბაღის მისასვლელი გზის, სტალინის ქუჩის მიმდებარედ მიერთებების მოწყობა;

2. სოფ. აწყურის კულტურის სახლთან მისასვლელი გზის და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

3. სოფ. აწყურის კულტურის სახლის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

4. ქ. ახალციხეში 9 აპრილის ქუჩაზე და კოსტავას N77-ში მდებარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

5. რაბათის ციხის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

6. ქ. ახალციხეში კოსტავას ქ. №183-ის და რუსთაველის ქ. №103-ის მიმდებარედ მდებარე სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;

დაგეგმილია ქალაქის ცენტრალური ქუჩების სხვადასხვა მონაკვეთების მოასფალტება. ახალციხეში უნდა მოასფალტდეს კოსტავას ქუჩა, (მდინარე ფოცხოვზე გადასასვლელი

ხიდიდან ახალციხის მერიამდე, ასევე, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ძეგლების ირგვლივ ტერიტორია), რუსთაველის ქუჩა, (შუქნიშნიდან საფარის გზის გადასახვევამდე, ასევე, მესაზღვრეების დასახლების შესახვევამდე და თერთმეტსართულიანების ასასვლელის ნაწილი), რუსთაველის ქუჩა,(უნივერსიტეტიდან ახალქალაქის გზატკეცილამდე, ასევე, წრიულის ირგვლივ მონაკვეთი).

2019 წელს ქალაქში ქუჩებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია გაგრძელდება.

მერმა საბჭოს წევრებს ახალციხელობის დღესასწაულზე დაგეგმილი ღონისძიებების განრიგი გააცნო.

ახალციხელობაზე გასამართი ღონისძიებების განრიგი.

▶ 12:00-12:45 სთ.-თოჯინების თეატრი - „წითელქუდა“ (ცენტრალური პარკი)

▶ 13:00-13:30 სთ.- თეატრალური წარმოდგენა (ცენტრალური პარკი)

▶ 13:30-14:00 სთ. - დრამშოუ (მსვლელობით) ცენტრალური პარკიდან ციხემდე

▶ 12:00-19:00 სთ. - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 12:00-19:00 სთ.- ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 12:00-19:00 სთ. - მხატვრების ნამუშევრების გამოფენა (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 13:00-17:00 სთ. - შეჯიბრი ჭიდაობაში (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 13:00-17:00 სთ. - შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთი (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 14:00-15:30 სთ. - კონცერტი (ადგილობრივი) I ნაწილი (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 15:30-16:00 სთ. - თეატრალური წარმოდგენა (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 16:15-16:30 სთ. - საპატიო ახალციხელების არჩევა (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 16:30-17:30 სთ. - კონცერტი (ადგილობრივი) II ნაწილი (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 17:30-18:00 სთ. - სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა დაჯილდოვება (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 18:00-18:15 სთ. - წარმატებული აგროტრენერების დაჯილდოვება (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 18:15-18:30 სთ.-წარმატებული ფერმერებისა და კოოპერატივების დაჯილდოვება (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 18:30-22:00 სთ. - თბილისიდან მოწვეული მომღერლების კონცერტი თემურ ყვითელაშვილი, ნუცა ბუზალაძე, ,,თბილისის ბიგ-ბენდი", ,,ქართული ხმები", ,,რეზო და ბავშვები" (ახალციხის ციხის კომპლექსი)

▶ 22:00 სთ. - ფოიერვერკი (ახალციხის ციხის კომპლექსი)

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს' წევრებმა წარმოდგენილი პროექტები მოიწონეს და გამოთქვეს მოსაზრებები:

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორის მოადგილემ, მერაბ ბერიძემ გამოთქვა მოსაზრება მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რას ხმარდება სასმელი წყლის მოსაკრებლიდან შესული თანხა. მისი თქმით საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნენისის ხელშეწყობისთვის პროექტების განხორციელება. ასევე, კარგი იქნება წარწერები გაუკეთდეს თამარ მეფისა და შოთა რუსთველის ძეგლებს.

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის ლექტორმა გივი ბუცხრიკიძემ გამოთქვა მოსაზრება აშენდეს სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც კულტურის სახლის ფუნქციასაც შეითვისებს.

მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრატორმა შალვა ტაბატაძემ გამოთქვა მოსაზრება ინფრასტუქტურულ პროექტებზე გაკეთდეს საინფრომაციო წარწერები.

ახალციხის საპატიო მოქალაქემ ომარ ჯაყელმა სურვილი გამოთქვა ქალაქში დაიდგას გიორგი ბრწყინვალის ძეგლი.

სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერისტეტის რექტორმა მაკა ბერიძემ ბერიძე დადებითად შეაფასა სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება და აღნიშნა, რომ ყურადღებაა გასამახვილებელი, თუ რა ხარისხის ღონისძიებები ტარდება ახალგაზრულ ცენტრებში.

საზოგადოებრივი განვითარების ახალციხის ცენტრის ხელმძღვანელმა ნუგზარ თათეშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ მომდევნო სხომაზე მონიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი ხედვები წარმოადგინონ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია„ტოლერანტის“ თავმჯდომარე ცირა მესხიშვილმა აღნიშნა, რომ ყურადღება გამახვილდეს მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე პანდუსების მოწყობაზე, რათა შშმ პირებმა შეძლონ თავისუფლად გადაადგილება.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:

1. ნინო რუხაძე

2. თენგიზ ხითარიშვილი

3. მალხაზ მანველიშვილი

4. ნინო ლომიძე

5. ელენა ბეგიაშვილი

6. თამარ კაპანაძე

7. ზაზა ივანიძე

8. პოღოს მაგაკიანი

9. ასთხიკ სარქისიანი

10. დოდო ბერიძე

11. მაკა ბერიძე

12. ვასილ კვინცხაძე

13. ომარ ჯაყელი

14. შალვა ტაბატაძე

15. ციური ლაფაჩი

16. გივი ბუცხრიკიძე

17. ბელა ავალიშვილი

18. მერაბ ბერიძე

19. გია კაპანაძე

20. გიორგი ანდღულაძე

21. ცირა მესხიშვილი

22. ნუგზარ თათეშვილი

23. ვალიკო ბალიაშვილი

24. ჭიჭიკო გელაშვილი

25. სუსანა აკოფოვა

26. რუზანა მელქონიან

27. ოგანეს უსტიან